სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/96

ქ. თბილისი

21 ივნისი 2024 წ.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საპატიო დოქტორის“ წოდების მინიჭების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 იანვრის №13 და „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჯილდოს - „ოქროს მედლის“ შემოღების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №01-05-04/122 დადგენილებებში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 21 ივნისის №01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილი იქნას ცვლილება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საპატიო დოქტორის“ წოდების მინიჭების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 იანვრის №13 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საპატიო დოქტორის წოდება შეიძლება მიენიჭოს უნივერსიტეტის მიმართ გაწეული განსაკუთრებული ღვაწლის დაფასების მიზნით საქართველოსა და უცხო ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერს, სახელმწიფო ან/და საზოგადო მოღვაწეს.“.

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. „საპატიო დოქტორის“ წოდების მფლობელს გადაეცემა სპეციალური დიპლომი და მედალი თანდართული ფორმის, ნიმუშისა და აღწერილობის შესაბამისად (დანართი).“

2. შეტანილი იქნას ცვლილება „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჯილდოს - „ოქროს მედლის“ შემოღების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №01-05-04/122 დადგენილებაში, შეიცვალოს დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი 1 და „ოქროს მედლის“ ნიმუში, აღწერილობა და მოწმობის ფორმა დამტკიცდეს თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი 1).“

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

სტუ-ს ,,საპატიო დოქტორის მედლის"

აღწერილობა

სტუ-ს ,,საპატიო დოქტორის მედალი" (უწყებრივი ჯილდო) წარმოადგენს მეტალის-თითბერის მოოქროვილ (24კ) ორმხრივ დაფერილ ერთიან სხმულს, საკიდი ყუნწით.

მედლის დიამეტრი 70.00 მმ

სისქე 3.00 მმ

ყუნწის სიგანე 23.60 მმ

ყუნწის სიმაღლე 7.02 მმ

ყუნწის სისქე 2.40 მმ

მედლის ავერსი:

ავერსის ოქროს ველი შემოსაზღვრულია რელიეფური ძგიდით (ბორდიურით);

მედლის ზედა და ქვედა მხარეს რკალისებურად განთავსებულია რელიეფური წარწერა ქართულ და ინგლისურ ენებზე: ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი", ,,GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY".

მედლის შუაში განთავსებულია სტუ-ს I კორპუსის ფასადის რელიეფური გამოსახელება. ფასადის გამოსახულების ქვემოთ გამოსახულია სტუ-ს დაარსების წელი 1922.

მედალზე I კორპუსის ფასადის გამოსახულების მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჰორიზონტალურ სიბრტყეში, გამოსახულია მცირე ზომის ბორჯღალი.

მედლის რევერსი:

რევერსის ოქროს ველი შემოსაზღვრულია რელიეფური ძგიდით (ბორდიურით);

მედლის ზედა და ქვედა მხარეს რკალისებურად განთავსებულია რელიეფური წარწერა ლათინურ და ქართულ ენებზე:

„GEORGIAE UNIVERSITAS RERUM TECHNICI", „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი".

ზედა წარწერის ქვემოთ განთავსებულია მცირე ზომის წრიული წარწერა ლათინურ ენაზე „SCIENTIA POTESTAS EST".

წარწერის შუაში განთავსებულია აბრევიატურა ქართულ ენაზე **სტუ.**

მედალზე წრიული წარწერის გამოსახულების მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჰორიზონტალურ სიბრტყეში, გამოსხულია მცირე ზომის ბორჯღალი.

წრიული წარწერის ქვემოთ განთავსებულია რელიეფური წარწერა ლათინურ ენაზე „DOCTOR HONORIS CAUSA“.

ლათინური წარწერის ქვემოთ, თავისუფალ ადგილას დაიტანება ჯილდოს მფლობელის სახელი და გვარი.

დანართში მოცემულია მედლის ესკიზი და დიპლომის ფორმა.

სტუ-ს „საპატიო დოქტორის მედალი“



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

SCIENTIA POTESTAS EST.

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

მიენიჭოს
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

საპატიო დოქტორის წოდება

IS GRANTED AN HONORARY DEGREE OF

DOCTOR HONORIS CAUSA

OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

რექტორი აკადემიკოსი	_____	დავით გურგენიძე
RECTOR ACADEMICIAN	_____	DAVID GURGENIDZE

საქართველო
თბილისი 20__

GEORGIA
TBILISI 20__

დანართი N1

სტუ-ს ,,ოქროს მედლის"

აღწერილობა

სტუ-ს ,,ოქროს მედალი" (უწყებრივი ჯილდო) წარმოადგენს მეტალის-თითბერის მოოქროვილ (24კ) ორმხრივ დაფერილ ერთიან სხმულს, საკიდი ყუნწით.

მედლის დიამეტრი 70.00 მმ

სისქე 3.00 მმ

ყუნწის სიგანე 23.60 მმ

ყუნწის სიმაღლე 7.02 მმ

ყუნწის სისქე 2.40 მმ

მედლის ავერსი:

ავერსის ოქროს ველი შემოსაზღვრულია რელიეფური ძგიდით (ბორდიურით);

მედლის ზედა და ქვედა მხარეს რკალისებურად განთავსებულია რელიეფური წარწერა ქართულ და ინგლისურ ენებზე: ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი", ,,GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY".

მედლის შუაში განთავსებულია სტუ-ს I კორპუსის ფასადის რელიეფური გამოსახელება. ფასადის გამოსახულების ქვემოთ გამოსახულია სტუ-ს დაარსების წელი 1922.

მედალზე I კორპუსის ფასადის გამოსახულების მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჰორიზონტალურ სიბრტყეში, გამოსახულია მცირე ზომის ბორჯღალი.

მედლის რევერსი:

რევერსის ოქროს ველი შემოსაზღვრულია რელიეფური ძგიდით (ბორდიურით);

მედლის ზედა და ქვედა მხარეს რკალისებურად განთავსებულია რელიეფური წარწერა ლათინურ და ქართულ ენებზე:

„GEORGIAE UNIVERSITAS RERUM TECHNICI", „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი".

ზედა წარწერის ქვემოთ განთავსებულია წრიული წარწერა ლათინურ ენაზე „SCIENTIA POTESTAS EST".

წარწერის შუაში განთავსებულია აბრევიატურა ქართულ ენაზე **სტუ.**

წრიული წარწერის ქვემოთ განთავსებულია სტუ-ს რექტორის დავით გურგენიძის რელიეფური ფაქსიმილე - ხელრთვა.

დანართში მოცემულია მედლის ესკიზი და მოწმობის ფორმა.

სტუ-ს „ოქროს მედალი“

SCIENTIA POTESTAS EST.

1922

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

მოწმობა №

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
„ოქროს მედალი"

ეძლევა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წინაშე გაწეული
განსაკუთრებული დამსახურებისთვის

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის რექტორი,
აკადემიკოსი
დავით გურგენიძე

„____" _____, 20 წ.

Certificate №

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
"GOLD MEDAL"

Is awarded to

for the outstanding contributions to
Georgian Technical University

Rector of the Georgian
Technical University,
Academician
David Gurgenidze

„____" _____, 20 .